საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 03/1333-18 "20" 04 2018 წ

შპს „ქეი ენდ ქეი თივი"-ს

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

გატყობინებთ, რომ 2018 წლის 19 აპრილს ჩანიშნული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომა კვორუმის არარსებობის გამო არ ჩატარდა და გადატანილ იქნა 2018 წლის 26 აპრილს 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. N50/18. აღნიშნულ სხდომაზე განიხილება შპს „ქეი ენდ ქეი თივი"-სთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე საკითხი, მის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის, კერძოდ, რეგულირების ყოველწლიური საფასურის გადაუხდელობის გამო (საფუძველი: კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2018 წლის 16 მარტის №შ-10/1410-18 მოხსენებითი ბარათი).

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, შპს „ქეი ენდ ქეი თივი"-ს უფლება აქვს კომისიას წარუდგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამასთან გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ კომპანიის წარმომადგენელი არ გამოცხადდება კომისიის სხდომაზე, კომისია საკითხს განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას მისი დასწრების გარეშე.

დანართი:

1. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2017 წლის 16 მარტის №შ-10/1410-18 მოხსენებითი ბარათი - 1 ფურცელი.

კომისიის აპარატის ადმინისტრაციის უფროსი

იოსებ ხარებავა

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625 ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

ნ.ჯ. ბერიას

ითხოვთ განიხილოთ და მოქმედ კანონმდებლობის
საბამისად აწარმოოთ საქმის წარმოება

ჯ. ბექაური
16.03.2018

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის თავმჯდომარეს,
ბატონ კახი ბექაურს

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის,
ნატალია ჯანელიძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო კახი,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მცდელობის მიუხედავად შპს "ქეი ენდ ქეი თივი"-ს ვერ ჩაბარდა კომისიის 2018 წლის 18 იანვრის N16/18 გადაწყვეტილება („შპს „ქეი ენდ ქეი თივი"-ისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე"). შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მიზნით აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი 2018 წლის 26 თებერვალს საჯაროდ გამოქვეყნდა კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

შპს "ქეი ენდ ქეი თივი"-ს კომისიის 2018 წლის 18 იანვრის N16/18 გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგაც არ შეუსრულებია, გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით დაკისრებული ვალდებულება. კერძოდ:

2. უზრუნველყოს შპს „ქეი ენდ ქეი თივი"-მ 10 სამუშაო დღის ვადაში რეგულირების საფასურის დავალიანების - 226.46 ლარის კომისიის ანგარიშზე ჩარიცხვა.

ასევე გაცნობებთ, რომ ვინაიდან კომპანიამ ამ პერიოდისთვის კომისიაში წარმოადგინა 2017 წლის დეკემბრის და 2018 წლის იანვარის თვის რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1,9 ფორმები შესაბამისად, კომპანიას 2018 წლის 15 მარტის მდგომარეობით ერიცხება რეგულირების საფასური დავალიანება -245.53 ლარი.

გთხოვთ, წარმოდგენილი ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის გადასცეთ კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს.

პატივისცემით,

ნატალია ჯანელიძე
16/03/2018

210/1410.18
16.03.18